დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

„ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი დიასპორა“

მაისი, 2024

გურამ ოდიშარიასა და დაურ ნაჭყებიას რომანების ნიდერლანდურენოვანი თარგმანების პრეზენტაცია

2 მაისს, ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩომ ქართველ და აფხაზ მწერლებს, გურამ ოდიშარიას და დაურ ნაჭყებიას უმასპინძლა. მწერლებმა საელჩოში თავიანთი ნაწარმოებების „პრეზიდენტის კატა“ (გ. ოდიშარია) და „ღამის ნაპირი“ (დ. ნაჭყებია) ერთობლივი, ნიდერლანდურენოვანი გამოცემა წარადგინეს.
ლიტერატურული საღამო მისასალმებელი სიტყვით გახსნა ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დავით სოლომონიამ. ღონისძიებას უძღვებოდა მწერალი, გურამ ოდიშარია, ხოლო წიგნის ნიდერლანდური თარგმანი მისმა შემდგენელმა, ნიდერლანდებში ქართული დიასპორის წარმომადგენელმა, ქართველმა მწერალმა და მთარგმნელმა, არჩილ ჯავახაძემ წარადგინა. წარდგენის შემდეგ მწერლებსა და დამსწრე აუდიტორიას შორის, რომელსაც ნიდერლანდების ლიტერატურული წრეებისა და ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ, საინტერესო დისკუსია გაიმართა.

ვენაში მოქმედი ქართული ცეკვის ბავშვთა ანსამბლი „გელათი“ ევროპის დღეზე

4 მაისს, ქ. ვენის ცენტრალურ ნაწილში ევროპის დღე აღინიშნა. ავსტრიაში საქართველოს საელჩოს ხელშეწყობით, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ვენაში მოქმედმა ქართული ცეკვის ბავშვთა ანსამბლმა „გელათი“. ანსამბლი ორი წლის წინ დაარსდა და მის წევრებს ქართულ ცეკვას საქართველოდან მიწვეული მასწავლებლები ასწავლიან.
ევროპის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ანსამბლის ხელმძღვანელს, მასწავლებელსა და წევრებს შეხვდნენ ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ქეთევან ციხელაშვილი და საელჩოს თანამშრომლები. საქართველოს ელჩმა მადლობა გადაუხადა ანსამბლს ავსტრიაში ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის, მიულოცა აღდგომის დღესასწაული და სააღდგომო საჩუქრები გადასცა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები და უცხოელი სტუმრები.

კუნძულ ტექსელზე ქართველთა აჯანყებისას დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნას პატივი მიაგეს

4 მაისს, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნის დღეს, ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დავით სოლომონიამ და ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა ტექსელის მერთან, მარკ პოლთან და კუნძულის მაცხოვრებლებთან ერთად ტექსელის ქართულ სამხედრო სასაფლაოზე, 1945 წელს, მეორე მსოფლიო ომის დროს ტექსელში ქართველი ჯარისკაცების აჯანყების დროს დაღუპულ ქართველ და ჰოლანდიელ გმირებს პატივი მიაგეს. ღონისძიების ფარგლებში, დელეგაცია ქალაქ დენ ბურხტში გაემგზავრა, სადაც კოხერსტრაატის სასაფლაოზე, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალები: „სიცოცხლის ხე“ და „მსხვერპლშეწირვის ჯვარი“ გვირგვინებით შეამკეს.

ნეაპოლში ქართული ფილმის „ფეოლა“ იტალიურ ენაზე ჩვენება გაიმართა

9 მაისს, ქ. ნეაპოლში, კინოთეატრში Modernissimo, იტალიურ ენაზე გახმოვანებული ლეგენდარული ქართული ფილმის „ფეოლა“ ჩვენება გაიმართა. „ფეოლას“ იტალიური ვერსიის შექმნის იდეა ეკუთვნის იტალიაში მცხოვრებ ქართველ ჟურნალისტს, ნინა მამუკაძე-სორდინს. ფილმი იტალიურ ენაზე ფლორენციის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ქეთა სორდინი-ჯაფარიძემ და იტალიაში მცხოვრებმა ქართველმა თარჯიმანმა, მაკა ხაჩოშვილმა თარგმნეს.
პროექტი განხორციელდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“ ფარგლებში.

ქართული კულტურის დღეები პოლონეთის ევროპის კოლეჯში

9 მაისს, ქ. ვარშავაში, ევროპის კოლეჯის ნატოლინის კამპუსში, ევროპის დღესთან დაკავშირებით, პოლონეთში მყოფი ქართველი სტუდენტების ორგანიზებით და პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, კულტურის დღეები გაიმართა. ღონისძიების მთავარი ნაწილი პოემა „ვეფხისტყაოსანს“ დაეთმო. 15 მაისი შოთა რუსთაველის დღედ არის გამოცხადებული და ამასთან დაკავშირებით, კოლეჯის სტუდენტებმა რუსთაველის პოემიდან ნაწყვეტები თორმეტ ენაზე გააჟღერეს.
ღონისძიება თავისი შინაარსით წარმოადგენდა პოლონელი საზოგადოებისთვის ქართული კულტურის, ისტორიის, დამწერლობის, ტრადიციების, ასევე, სამზარეულოს გაცნობის აქციას. ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიესალმა პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიანა ჟღენტი და დამსწრე საზოგადოებას საქართველოს ისტორიულ ევროპულ წარსულსა და მომავალზე უამბო. დასასრულ, საქართველოს საელჩომ ნატოლონის კოლეჯის ბიბლიოთეკას „ვეფხისტყაოსნის“ სასაჩუქრე გამოცემა გადასცა.

ათენში საერთაშორისო სპორტულ-კულტურული ფესტივალი გაიმართა

11-12 მაისს, ქ. ათენის ცენტრში, საბერძნეთის მიგრანტთა ფორუმის ორგანიზებითა და ათენის მერიის მხარდაჭერით, მასშტაბური საერთაშორისო სპორტულ-კულტურული ფესტივალი „Kypseli Mundial“ გაიმართა.
ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს ათენში მოქმედმა ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლმა „კავკასია“, რომელიც მაყურებლის წინაშე ქართული ხალხური სიმღერებითა და ცეკვებით წარსდგა.

ვიზიტი ირლანდიის ქალაქ კორკის ქართულ საკვირაო სკოლაში

11 მაისს, ირლანდიაში საქართველოს საელჩოს საკონსულო სამსახურის წარმომადგენლები ქალაქ კორკში მოქმედ ქართულ საკვირაო სკოლას „ფესვები“ ეწვივნენ და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შექმნილი ქართული ენის სახელმძღვანელოები გადასცეს.

საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები მუსიკისა და ცეკვის გაკვეთილებს დაესწრნენ.

ვიზიტის ფარგლებში საკონსულოს თანამშრომლებმა საკონსულო მომსახურება გაუწიეს ქ. კორკში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს.

ნინო სპანდერაშვილის ორენოვანი წიგნის „ნაპირიდან ნაპირამდე“ განხილვა

12 მაისს, სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის აპარატთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საგანმანათლებლო და კულტურულ ცენტრში გაიმართა ღონისძიება სახელწოდებით „ნაპირიდან ნაპირამდე“ - განვლილი გზა. ღონისძიება მიეძღვნა ქართული სათვისტომოს წევრის, ნინო სპანდერაშვილის ორენოვანი წიგნის „ნაპირიდან ნაპირამდე“ განხილვას და სომხურ-ქართულ კულტურულ კავშირებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ სომხეთის ქართული სათვისტომოს „ივერია“ წევრები, ასევე, სომხეთის მწერალთა კავშირის და სომხური კულტურის ფონდის წევრები, კომპოზიტორები, მომღერლები და სხვა მოწვეული სტუმრები. შეხვედრაზე სათვისტომოსთან არსებული საკვირაო სკოლის დირექტორმა ლიანა სამადალაშვილმა განიხილა მწერალ ნინო სპანდერაშვილის შემოქმედება და მისი ნაწარმოებების თარგმანები სომხურ ენაზე, ასევე, ავტორის მიერ თარგმნილი სომხური კლასიკისა და თანამედროვე პოეზიის ნიმუშები. თავის მისასალმებელ სიტყვაში ქართული სათვისტომოს პრეზიდენტმა სვეტლანა ნამჩევაძემ ხაზი გაუსვა ნინო სპანდერაშვილის მნიშვნელოვან წვლილს ერევანში მოქმედი ქართული საკვირაო სკოლისა და სათვისტომოს ყოველდღიურ ცხოვრებაში და მათ შემოქმედებით წინსვლა-განვითარებაში.

ლას-ვეგასში ქართულმა სათვისტომომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და სათვისტომოს დაარსების ხუთი წლის იუბილე აღნიშნა

12 მაისს, ქ. ლას-ვეგასში, ქართული სათვისტომოს „ივერია“ ხელმძღვანელის ირაკლი რუსიას ორგანიზებით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისა და ქართული სათვისტომოს დაარსების ხუთი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გაიმართა. ღონისძიება მიზნად ისახავდა აშშ-ში ქართული კულტურისა და სპორტის პოპულარიზაციას.

ღონისძიების ფარგლებში, ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსმა, მეუფე საბამ (ინწკირველი) ლას-ვეგასში პირველად აღავლინა წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე. ამ დღისთვის სიონის საკათედრო ტაძრიდან ივერიის ღვთისმშობლის ხატი ჩამოაბრძანეს.

ღონისძიებას სპეციალური მოწვევით ესწრებოდნენ UFC-ის ქართველი მებრძოლები მერაბ დვალიშვილი და რომან დოლიძე. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ ნევადის გუბერნატორი სტავროს ენტონი, ქ. სან-დიეგოში საქართველოს საპატიო კონსული მელორ წიფურია, ნევადის სენატორი კერი ბაკი, კონგრესმენი შელი ბერკლი, ქართული კულტურის ცენტრის პრეზიდენტი სამხრეთ კალიფორნიაში ირმა გვილია, ქ. ნიუ-იორკში მოქმედი დიასპორული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ინა ასანიძე, ნიუ ჯერსის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი თამარ მიქაძე და სათვისტომო „ივერიას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი ლელა ალასანია-პალსგროვი. ინა ასანიძისა და თათული ტორესის ხელშეწყობით ღონისძიებაში მონაწილეობდნენ „თეატრალური კვარტეტი“, ქეთი გაბისიანი, ნიკოლოზ წულუკიძე, ანუკი ცქვიტინიძე, გელა დონაძე, ვახო ბიჭიკაშვილი, ნინი წიკლაური, ირინას დენს აკადემია (ხელმძღვანელი ირინა ხუცურაული), გოჩა დაუშვილი, გენადი ცერცვაძე, ნატალია მაისურაძე, ლია ცაავა და ბექა აფაქიძე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული კულტურისა და სპორტის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის, ლას-ვეგასის ქალაქის მერმა კეროლინ გუდმანმა და ნევედის გუბერნატორმა სტავროს ენტონიმ ირაკლი რუსიას და მერაბ დვალიშვილს საპატიო ჯილდოები გადასცეს.

ქ. სანქტ-პეტერბურგში „ქართული ხალხური პოეზიის“ საღამო გაიმართა

12 მაისს, ქ. სანქტ-პეტერბურგის შოსტაკოვის ღვთისმშობლის სახელობის ქართულ ეკლესიასთან არსებული ქართული საკვირაო სკოლის (ხელმძღვანელი ეთერ (ბაია) ხორავა) “A” ჯგუფის მოსწავლეების მონაწილეობით „ქართული ხალხური პოეზიის“ საღამო ჩატარდა. ღონისძიებაზე სკოლის პატარა აღსაზრდელები ქართულ ეროვნულ სამოსში იყვნენ გამოწყობილები. პატარა თანამემამულეებმა ხალხური ლექსი „მოდი ვნახოთ ვენახი“ წაიკითხეს.

ვაშინგტონში ღვინის მეშვიდე ყოველწლიური ფორუმი გამართა

14-16 მაისს, ქ. ვაშინგტონში, ამერიკა-საქართველოს ბიზნეს-საბჭომ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ღვინის მეშვიდე ყოველწლიური ფორუმი გამართა.

ღვინის ფორუმი გახდა საქართველოს, როგორც ღვინის კულტურის წარმოშობის ქვეყნის, ბრენდინგის მნიშვნელოვანი ელემენტი, წარმოდგენილი საქართველოსა და კავკასიის უნიკალური ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის კონტექსტში. აღნიშნული ფორუმი მოიცავდა სხვადასხვა თემებზე გამართულ პრეზენტაციებს და ქართული ღვინის დეგუსტაციას.

ალიკანტეს ქართულმა დიასპორამ საქართველოს ეროვნული სამოსისა და ოჯახის სიწმინდის დღე აღნიშნა

17 მაისს, ესპანეთის სამეფოს ქ. ალიკანტეში მოქმედი ქართული დიასპორული ორგანიზაციის ,,საქართველოს რესპუბლიკა და ემიგრანტები“ (ხელმძღვანელი მანანა გოგოლაძე) ორგანიზებით, ალიკანტეს ქართულმა დიასპორამ საქართველოს ეროვნული სამოსისა და ოჯახის სიწმინდის დღე აღნიშნა.

ათენში კულტურის საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდა

18 მაისს, ქ. ათენის ბრიტანულ საერთაშორისო სკოლაში - „ბაირონის კოლეჯი“, ტრადიციული ფესტივალი: "Γιορτή των Εθνών – Byron College GR“ გაიმართა.
ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრთან „კავკასია“ (ხელმძღვანელი ავთანდილ მიქაბერიძე) არსებულმა ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლმა „კავკასია“. ანსამბლის წევრებმა, მისი ქორეოგრაფების, ეკა გიგოლაშვილისა და შოთა ცქვიტიშვილის ხელმძღვანელობით „ფარცა“, „სამაია“ და „აჭარული“ შეასრულეს.
ფესტივალის ფარგლებში სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ ქართულ ღვინოსა და სამზარეულოს.

მადრიდში დათო ტურაშვილის წიგნის „ჯინსების თაობა“ ესპანურენოვანი თარგმანის პრეზენტაცია გაიმართა

18 მაისს, ქ. მადრიდში, ესპანურ-ქართული კულტურული ასოციაციის „იბერია“ (ხელმძღვანელი ქეთი გორგილაძე) ორგანიზებით დათო ტურაშვილის წიგნის „ჯინსების თაობა“ ესპანურენოვანი თარგმანის პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციას ასოციაციის წევრებთან ერთად, ნაწარმოების ესპანურ ენაზე მთარგმნელი ინეს კონდესიც ესწრებოდა.

ათენში კონცერტი „როცა აყვავდა ნუში“ გაიმართა

19 მაისს, ქ. ათენში, კინო-თეატრში „სტუდიო“, ქართულ-ბერძნული თეატრალური კულტურული ორგანიზაციის „დიონისე“ (ხელმძღვანელი თამარ სამხარაძე) კონცერტი სახელწოდებით - „როცა აყვავდა ნუში“ გაიმართა.
კონცერტში მონაწილეობა მიიღეს „დიონისეს“ ვოკალური ჯგუფის აღსაზრდელებმა, ორგანიზაციასთან არსებულმა სკოლამდელ აღსაზრდელთა ჯგუფმა და სამი თაობის მსახიობებმა.
ღონისძიებას ესწრებოდნენ საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს კონსული გელა ჯაფარიძე და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ანსამბლი „კავკასია“ გეორგიოს კარაისკაკისის ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე წარდგა

19 მაისს ქ. ათენის კერაცინის მუნიციპალიტეტის წმინდა გიორგის ტაძრის ეზოში, საბერძნეთის ეროვნული გმირის გეორგიოს კარაისკაკისის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ნიკეას ეპარქიასთან არსებული ბერძნული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლებმა და სიმფონიურმა ორკესტრებმა. ბერძენ გამომსვლელებთან ერთად, მაყურებლის წინაშე ქართული სიმღერებითა და ცეკვებით წარდგნენ ათენის ქართული ინსტიტუტისა და კულტურის ცენტრის „კავკასია“ მომღერლები და მოცეკვავეები.
ღონისძიებას ესწრებოდნენ საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს კონსული გელა ჯაფარიძე და კონსულის თანაშემწე ზურაბ ვაჩეიშვილი, ათენის ქართული ინსტიტუტისა და კულტურის ცენტრის „კავკასია“ დამფუძნებელი ავთანდილ მიქაბერიძე, კერაცინის მერი ხრისტოს ვრეტაკოსი, ნიკეას ეპარქიის მაღალი იერარქიის სასულიერო პირები, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლები.
დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა კონსულმა გელა ჯაფარიძემ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსგავს ღონისძიებებში ქართული დიასპორული ორგანიზაციების მონაწილეობა ხელს უწყობს საბერძნეთში ქართული კულტურისა და ხელოვნების შესახებ ცნობადობის ამაღლებას.

Philly Karate Club ფილადელფიაში ღია ტურნირს მართავს

19 მაისს, ქ. ფილადელფიაში, ქართველი პროფესიონალი კარატისტების მიერ დაარსებული სპორტული კლუბის Philly Karate Club ორგანიზებით, კარატეში ღია ტურნირი გაიმართა. ტურნირში მონაწილეობა მიიღო ოთხი შტატის ათმა სპორტულმა სკოლამ 140-მდე ნორჩი სპორტსმენით. Philly Karate Club-ის აღსაზრდელებმა წარმატებით იასპარეზეს. საერთო გუნდურ ჩათვლაში კლუბი პირველ ადგილზე გავიდა და თასიც მოიპოვა. ტურნირი ქორეოგრაფიულად გააფორმა პენსილვანიაში წმ. მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის სახელობის ქართული კულტურის ცენტრთან არსებულმა ქართული ცეკვის ანსამბლმა.

„ჩვენი ქვეყნის მარგალიტები საფრანგეთში“

19 მაისს, ქ. პარიზში, დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტ მეუფე აბრაამის (გარმელია) კურთხევით და პარიზის წმიდა თამარ მეფის სახელობის ეკლესიის წინამძღვრის არქიმანდრიტ ანტონის (კანდელაკი) ინიციატივითა და ორგანიზებით ჩატარდა კონცერტი სახელწოდებით - „ჩვენი ქვეყნის მარგალიტები საფრანგეთში“.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთში მოქმედმა ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლებმა - „მარანი“, „ჰარმონია“, „თამარიონი“, „ლაზი“ (ქ. პარიზი), „კოლხიდა“ (ქ. ლე-ჰავრი), „ლაშარის ჯვარი“ (ქ. ლიონი), „ფესვები“ (ქ. სენტ-ეტიენი), „გვირილა“, „წინწყარო“, „იბერნი“ (ქ. რენი), ,,ქართული ცეკვის ანსამბლი“ (ქ. ნანტი), „კანდიორი“ (ქ. ალბი), „სადარისი“ და „ნაბიჯი“ (ქ. სტრასბურგი), „ანანკე“, „მანდილი“.

კონცერტს ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები საქართველოდან: ქართული ნაციონალური ბალეტის „სუხიშვილები“ ხელმღვანელი ნინო სუხიშვილი, ქართული ფოლკლორის დამსახურებული შემსრულებელი, ლოტბარი და კომპოზიტორი, ლელა თათარაიძე და საფრანგეთში მოღვაწე მეცო-სოპრანო ნონა ჯავახიძე. საღამოს უძღვებოდა საფრანგეთში მცხოვრები ქართველი მომღერალი ელგა ფორჩხიძე.

ღონისძიების მონაწილეებს ორგანიზატორებმა საფრანგეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის მადლობის სიგელები გადასცეს.

ბილბაოში ქართული ანსამბლის „ზეკარი“ შემოქმედებითი საღამო გაიმართა

20 მაისს, ესპანეთის სამეფოს ქ. ბილბაოში, კამპოს ელისოს თეატრში, ბილბაოში მოქმედი ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლის „ზეკარი“ (ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი პავლე გერგედავა) შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

კონცერტში მონაწილეობა მიიღო საქართველოდან ფოლკლორულმა ანსამბლმა „მარულა“. საღამოზე მიწვეული გახლდათ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარე, რეზო ბულიას სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების „ჩელა“ და „ცისკარი“ სამხატვრო ხელმძღვანელი რომეო ბულია და სხვა საპატიო სტუმრები. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ქორეოგრაფთა კავშირმა, საზღვარგარეთ ქართული ქორეოგრაფიის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის, პავლე გერგედავა წმინდა გიორგის სახელობის მედლით დააჯილდოვა, ხოლო ორგანიზაციამ „ბესთ კოპი“ (ბესო და ლევან გერლიანები) მას სპეციალური პრიზი გადასცეს. მადლიერების სიგელით დაჯილდოვდნენ ანსამბლის წევრები და ღონისძიების თანაორგანიზატორები ვერიკო გერგედავა და გოჩა ბერიაშვილი.

შემოქმედებითი საღამო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერის“ ფარგლებში გაიმართა.

მადრიდის ქართულმა საკვირაო სკოლამ „აისი“ ბათუმის სკოლას უმასპინძლა

20 მაისს, ქ. მადრიდის წმინდა გიორგის ეკლესიასთან არსებულმა ქართულმა საკვირაო სკოლამ „აისი“, ბათუმის კერძო სკოლას „გორდა“ უმასპინძლა. შეხვედრაზე მოსწავლეებმა და პედაგოგებმა სასკოლო ცხოვრების საერთო საკითხები განიხილეს, ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს და კულტურული ღონისძიებების თაობაზე ინფორმაცია გაცვალეს. სტუმრებმა მასპინძლებისთვის აჭარული ცეკვა შეასრულეს, მასპინძელმა მოწაფეებმა კი ღონისძიება პოეზიით დააგვირგვინეს.

მოლდოვაში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა

21 მაისს, ქ. კიშინეუში, მოლდოვას რესპუბლიკაში საქართველოს საელჩომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ოფიციალური საზეიმო მიღება გაიმართა. საზეიმო მიღებაზე სტუმრებს სიტყვით მიმართეს მოლდოვას რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლევან დიასამიძემ და მოლდოვას რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ანატოლი ნოსატიმ. ზეიმზე მოეწყო ქართველი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის ნახატების გამოფენა, გაიმართა კონცერტი ანსამბლ „აფხაზეთის" მონაწილეობით, ქართული ღვინისა და ტრადიციული კერძების დემონსტრაცია-დაგემოვნება.

მიღებას ესწრებოდნენ მოლდოვას რესპუბლიკის მაღალი რანგის თანამდებობის პირები, მოლდოვაში აკრედიტებული დიპლომატიური მისიის წარმომადგენლები, სხვა საპატიო სტუმრები და ქართული დიასპორის წარმომადგენლები, ხოლო 22 მაისს, ქალაქ კიშინეუს ცენტრალურ კინოთეატრში ნაჩვენები იქნა რეჟისორ ზაზა ურუშაძის ფილმი „მანდარინები“.

რომში სულხან-საბა ორბელიანის წიგნის - „მოგზაურობა ევროპაში“ პრეზენტაცია გაიმართა

21 მაისს, ქ. რომში, დანტე ალიგიერის საზოგადოების სათაო ოფისში, ფლორენციის სასახლეში, წმინდა საყდართან საქართველოს საელჩოს ორგანიზებით სულხან-საბა ორბელიანის წიგნის - „მოგზაურობა ევროპაში“ პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი იტალიურ ენაზე შვეიცარიაში მოღვაწე ქართველოლოგმა, ენათმეცნიერმა მანანა ტოფაძე-გოიმანმა თარგმნა (მანანა ტოფაძე-გოიმანი 2009 წლიდან უძღვება თანამედროვე ქართული ენის კურსს ბერნის უნივერსიტეტში და ძველი ქართული ენის კურსს ფრაიბურგის უნივერსიტეტში).

საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა სოფო ქარცივაძემ თავის მისასალმებელ სიტყვაში ისაუბრა სულხან-საბა ორბელიანის უდიდეს ღვაწლზე საქართველოს ისტორიაში, მის შემოქმედებაზე, საზოგადოებრივ დიპლომატიურ მოღვაწეობაზე და ევროპულ მისწრაფებაში. სტუმრებს სიტყვით მიმართა მთარგმნელმა მანანა ტოფაძე-გოიმანმა. ნაწარმოებიდან ნაწყვეტები ქართულ და იტალიურ ენაზე წაიკითხა იტალიაში მოღვაწე მთარგმნელმა ნუნუ გელაძემ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ რომის კურიის აღმოსავლეთ ეკლესიათა კონგრეგაციის პრეფექტი, კარდინალი კლაუდიო გუჯეროტი, წმინდა საყდართან აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, მალტის სუვერენული სამხედრო ორდენისა და რომის ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

თურქეთის ქართული დიასპორის მონაწილეობით ქართული კულტურის ფესტივალი ჩატარდა

21 მაისს, ქ. ჩარშამბას მუნიციპალიტეტის სოფელ ქესთანეფინარში, თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების მონაწილეობით სახალხო ღონისძიება - ქართული კულტურის ფესტივალი გაიმართა.

ფესტივალის ფარგლებში სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ქართულ სამზარეულოს და დაეგემოვნებინათ ქართული კერძები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. ტრაპიზონში საქართველოს გენერალური კონსული ნიკოლოზ იაშვილი და საკონსულოს თანამშრომლები, ასევე, ჩარშამბას მერი ჰუსეინ დუნდარი, სალიფაზარის მერი რეფაეთინ ქარაჯა, ჩარშამბას ქართული კულტურის ასოციაციის თავმჯდომარე ომერ სემიზი და რეგიონის სხვა ოფიციალური პირები.

ფილადელფიაში ქართული კულტურის დღეები გაიმართა

24-26 მაისს, ფილადელფიაში, ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრის - ეპისკოპოს საბას (ინწკირველი) ლოცვა-კურთხევით პროექტი „ქართული კულტურის დღეები ფილადელფიაში“ განხორციელდა. პროექტის ორგანიზატორები გახლდნენ საქართველოს საპატრიარქოს ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქია, პენსილვანიის წმ. გიორგის სახელობის ქართული სამრევლო და წმ. მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის სახელობის ქართული კულტურის ცენტრი.

ღონისძიება დაიწყო ქართული დროშის აღმართვის ცერემონიით და გაგრძელდა 25 მაისს გალა კონცერტით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ტორონტოს ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიასთან არსებულმა ქართული კულტურის ცენტმა „ივერიონი“, ნიუ-ჯერსის წმინდა გრიგოლ ხანძთელის ეკლესიასთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ხანძთელი“, ამერიკაში ქართული კულტურის ცენტრთან Dancing Cranes არსებულმა ანსამბლმა „ლეგენდები“, ანსამბლმა „ელვა“, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული კულტურის ცენტრის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „საქართველო“, ირინა დენს აკადემიამ, ქართული კულტურის ცენტრმა „ფესვები“ და წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის სახელობის ქართული კულტურის ცენტრმა პენსილვანიაში. ღონისძიების ფარგლებში, ასევე გაიმართა ლორინას არტ სტუდიის, ეკატერინე ტუჩაშვილის, გურანდა ორჯონიკიძის, მარიკა პაპიძის, ნინო გიორგაძე - მიმინოშვილის, მარი ნიშაბერაშვილის და ფიქრია კოხოძის ნამუშევრების გამოფენა.

26 მაისს, წმინდა დავით აღმაშენებლის საკათედრო ტაძარში აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის, ოჯახის სიწმინდისა და ეროვნული სამოსის დღე. ყოვლადუსამღვდელოესმა ეპისკოპოსმა საბამ ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად აღავლინა საღმრთო ლიტურგია, რომლის დასრულების შემდეგ საზეიმო ღონისძიება გაიმართა.



ბერლინის საკვირაო სკოლამ „ანი ბანი“ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა

25 მაისს, ქ. ბერლინში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს თანადგომით, ბერლინის ქართულმა საკვირაო სკოლამ „ანი ბანი“ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა. საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა და საქართველოდან ჩასულმა ანსამბლმა „ბათუმი“ ქართული ხალხური სიმღერები შეასრულეს.

ესპანეთში ქართული დღეები გაიმართა

25 მაისს, ესპანეთის ქ. ვილაფრანკაში, ესპანურ-ქართული კულტურული ასოციაციის „იბერია“ (ხელმძღვანელი ქეთი გორგილაძე), საქართველოსა და ესპანეთის ენოტურიზმის ასოციაციებისა და ქართველი სტუდენტების ორგანიზებით „ქართული დღეები“ გაიმართა. ღონისძიება კომპანია Artcava-ში ჩატარდა. იგი მიზნად ქართული კულტურის, გასტრონომიისა და ღვინის პოპულარიზაციას ისახავდა. მასპინძლები ესპანეთის ენოტურიზმის ინსტიტუტის ქართველი სტუდენტები გახლდნენ.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. ბარსელონაში საქართველოს გენერალური კონსული ალექსანდრე ჭკუასელი და ვიცე-კონსული ლია ახალბედაშვილი. გენერალურმა კონსულმა მისასალმებელ სიტყვაში ხაზი გაუსვა ქართველი სტუდენტების ჩართულობის მნიშვნელობას მსგავს ღონისძიებებში და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საქართველოზე, როგორც ღვინის სამშობლო ქვეყანაზე, სადაც ღვინის წარმოება ქართული კულტურისა და ყოფაცხოვრების უძველესი დარგია, მისი დამზადების უნიკალური მეთოდებითა და ტრადიციებით. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მონაწილეობით, ღონისძიებაზე სადეგუსტაციოდ ღვინოები ქართული ღვინის ექვსმა კომპანიამ წარმოადგინა. მიწვეულ სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ, ქართული სამზარეულო დაეგემოვნებინათ.

ნიურნბერგში საბავშვო ფერწერის კურსი ჩატარდა

25-26 მაისს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. ნიურნბერგში მოქმედი ქართული კულტურის ცენტრის „ინკო“ ინიციატივითა და ორგანიზებით, ცენტრთან არსებული საკვირაო სკოლის აღსაზრდელებისთვის ფერწერის გაკვეთილები ჩატარდა. საკვირაო სკოლის ხატვის პედაგოგებმა „დამწყები მხატვრები“ ფერწერის ტექნიკის საიდუმლოებებს აზიარეს.





„ათენის ქართულმა სახლმა“ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა

26 მაისს, დიასპორულმა ორგანიზაციამ „ათენის ქართული სახლი“ და მასთან არსებულმა „ვახტანგ VI-ის სახელობის ქართულმა საკვირაო სკოლამ“ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე იზეიმა. ღონისძიებაზე საკვირაო სკოლის უფროსკლასელებმა მათ მიერ შერჩეულ თემებზე გაკვეთილები ჩაატარეს. საკვირაო სკოლის მოსწავლემ ლელა გოჩოლეიშვილმა ისაუბრა ლევან გოთუას „ქვის დედაენაზე“, ანასტასია გიგაურმა გრამატიკის გაკვეთილი ჩაატარა და რთული წინადადება გაარჩია, ლუკა გიგაურმა - ევროპის კონტინენტზე და მისი გეოგრაფიული სახელების მითოლოგიურ წარმოშობაზე ისაუბრა. საკვირაო სკოლის პედაგოგებმა მოზარდებთან ერთად საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების ისტორია მიმოიხილეს და სამშობლოს დამოუკიდებლობის დღე მიულოცეს.

ათენში ორგანიზაციამ „ივერონი“ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე იზეიმა

26 მაისს, ქ. ათენში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ივერონი“ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა. წმინდა ნექტარიოსის სახელობის ტაძარში არქიმანდრიტმა მამა ვლასიმ პარაკლისი გადაიხადა და თანამემამულეებს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა.

ალიკანტეს ქართულმა დიასპორამ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა

26 მაისს, ესპანეთის სამეფოს ქ. ალიკანტეში, ასოციაციის „საქართველოს რესპუბლიკა და ემიგრანტები“ (ხელმძღვანელი მანანა გოგოლაძე) ორგანიზებით და ქ. ბარსელონაში საქართველოს გენერალური საკონსულოს მხარდაჭერით, ალიკანტეს ქართულმა დიასპორამ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა.
ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ასოციაციასთან არსებული ქართული ცეკვის სტუდია „იბერია“ და პოლიფონიური მუსიკის ქართულ-კატალონიური ანსამბლი „ვოკალ ვირკანი“.

ალბის ქართულმა დიასპორამ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა

26 მაისს, საფრანგეთის რესპუბლიკის ქ. ალბიში არსებულმა „ქართული კულტურის ასოციაციამ“ (ხელმძღვანელი ეკატერინე ციმინტია-ქარდავა) და ასოციაციასთან არსებულმა „ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის საკვირაო სკოლამ“ დამოუკიდებლობის დღე იზეიმა. ზეიმის მონაწილეებმა შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები.

თურქეთში ფესტივალი „ქართული ზეიმი“ გაიმართა

26 მაისს, თურქეთში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ასევე, ქ. სტამბოლის ბეიქოზის ბათუმისა და მისი შემოგარენის ქართული კულტურის ასოციაციის, იზნიქის ბათუმელთა კავკასიური კულტურისა და თანადგომის ასოციაციის, ორჰანგაზის კავკასიური კულტურის საზოგადოების, უნიეს ქართული კულტურისა და მეგობრობის ასოციაციის, ქ. ბურსას ბათუმისა და მისი შემოგარენის კულტურისა და თანადგომის საზოგადოების, გოლჯუქის კავკასიური კულტურისა და დახმარების საზოგადოების და გოლჯუქის სოფლების თანადგომისა და სოლიდარობის ასოციაციის ორგანიზებით, ქ. საქარიას სოფელ აჰმედიეში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად ფესტივალი „ქართული ზეიმი“ გაიმართა.

ესპანეთის ქართული დიასპორა ქ. არნედოს სართაშორისო კულტურის ფესტივალზე წარდგა

26 მაისს, ესპანეთის სამეფოს ქ. არნედოში რიგით მესამე საერთაშორისო კულტურის ფესტივალი ჩატარდა, რომელშიც ესპანეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. ქალაქის ცენტრში გამოფენილი იყო ხელნაკეთი ნივთები, ჩატარდა კონცერტები და სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოს დემონსტრირება / დეგუსტაცია. ქართულ სტენდზე წარმოდგენილი იყო ესპანეთში მცხოვრები ხელოვანის ზურაბ პაპიძის ხის ნაკეთობები, სპეციალური კუთხე მოეწყო ქ. არნედოს ქართული საკვირაო სკოლის აღსაზრდელების ნამუშევრებისათვის. მოზარდებმა გამოფინეს ნახატები თემაზე „ჩემი თვალით დანახული საქართველო“. ფესტივალზე განთავსებული იყო სტენდი ძველი თბილისის ხედებით. ამავე სტენდთან გამოფენილი იყო თბილისის მრავალეროვანი მოსახლეობის ეროვნული სამოსი და აქსესუარები. გიდები დაინტერესებულ სტუმრებს მათი მოზომვაში ეხმარებოდნენ და განმარტებებს აძლევდნენ და ფოტოებს უღებდნენ.
ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: ქ. არნედოში მოქმედი ქართული ცეკვის სტუდია „პატარა საქართველო“ (ხელმძღვანელები დათო და სოფო ნადარეიშვილები) და ხალხური სიმღერების გუნდი (ხელმძღვანელები: ბადრი ყაჭიური, თეა ქოიავა, ზურაბ თოფურია და თამუნა კირკიტაძე).
ქართული დიასპორის ფესტივალში ქართველთა მონაწილეობას ორგანიზება გაუწია არნედოში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ ია ბასიაშვილმა.



ბრიუსელში ქართულმა საკვირაო სკოლამ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა

26 მაისს, ქ. ბრიუსელის საკათედრო ტაძართან არსებულმა ქართულმა საკვირაო სკოლამ „თამარიონი“ (ხელმძღვანელი ნატო თოდუა) საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა. ღონისძიებაზე საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა წაიკითხეს კლასიკოსი და თანამედროვე ქართველი პოეტების ლექსები, შეასრულეს საბავშვო სიმღერები.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ბრიუსელის საკათედრო ტაძრის სასულიერო პირები, ტაძრის მრევლი, ბელგიის სამეფოში საქართველოს საელჩოს თანამშრომლები და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.
ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე დოსითეოსმა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში დაღუპულ მებრძოლთა სულების მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა.

ასოციაციამ „პატარა საქართველო სენ-ბრიეში“ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე იზეიმა

26 მაისს, საფრანგეთის რესპუბლიკის ქ. სენ-ბრიეში მოქმედმა ასოციაციამ „პატარა საქართველო სენ-ბრიეში“ და ასოციაციასთან არსებულმა საკვირაო სკოლამ ბრესტის ფილიალის ხელმძღვანელის ია გოდერძიშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნეს.
ასოციაციის პრეზიდენტმა ვალერი შარიპოვმა თანამემამულეებს, ასოციაციის წევრებს და დამსწრე საზოგადოებას დღესასწაული მიულოცა.

დრეზდენის ქართულმა დიასპორამ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა

26 მაისს, დრეზდენის ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა და დრეზდენის ქართული საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნეს. ზეიმზე შესრულდა საქართველოს ჰიმნი და ქართული სიმღერები, ჩატარდა საჯარო ლექცია ბავშვებისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის ისტორიისა და მნიშვნელობის შესახებ.

ღია გაკვეთილი დუბლინის საკვირაო სკოლაში „ლამპარი“

26 მაისს, ქ. დუბლინის ქართული საკვირაო სკოლის „ლამპარი“ უფროს ჯგუფში დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ღია გაკვეთილი სახელწოდებით „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა...“.
საკვირაო სკოლის პედაგოგებმა ქეთი ჯიღაურმა, ზაიკო სურამელმა და გურამ ლალიაშვილმა სკოლის აღსაზრდელებთან ერთად ისაუბრეს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების ისტორიაზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე დუბლინში

26 მაისს, ირლანდიაში საქართველოს საელჩოსა და დუბლინის მერიის ორგანიზებით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, დუბლინის სემუელ ბეკეტის ხიდი, ტრადიციულად, ქართული დროშის ფერებში განათდა. მარლეი პარკში, ირლანდიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს დუბლინში მოქმედმა ორგანიზაციამ - „ქართული კულტურის ცენტრი - ქართული დიასპორა“ (თავმჯდომარე ლელა შურუპოვა) და ფოლკლორულმა ანსამბლმა „კავკასიონი“. 21-27 მაისს დუბლინის ცენტრში ქართული დროშები იყო გამოფენილი.

მადრიდის საკვირაო სკოლამ „ბეღურა“ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა

26 მაისს, ქ. მადრიდის ქართულმა საკვირაო სკოლამ „ბეღურა“ (ხელმძღვანელი თეა ქურხული) საქართველოს დამოუკიდებლობის დღე იზეიმა. სპეციალურად ამ დღისთვის, საკვირაო სკოლის აღსაზრდელები ქართულ ნაციონალურ სამოსში გამოეწყვნენ.

ფლორენციაში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი „ერთობის ზეიმი“ გაიმართა

26 მაისს, ქ. ფლორენციაში, დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტ აბრაამის (გარმელია) ლოცვა-კურთხევითა და ეპარქიაში შემავალი ქართული სამრევლოების ხელშეწყობით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სახელწოდებით - „ერთობის ზეიმი“ გაიმართა. ღონისძიებას ფლორენციის წმ. ნინოს სამრევლომ უმასპინძლა. კონცერტში დასავლეთ ევროპის ეპარქიის ყველა სამრევლომ და მათთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა მიიღო მონაწილეობა.
ღონისძიების დასასრულს, ზეიმის ორგანიზატორებმა მონაწილეებს უცხოეთში ქართული-ხალხური შემოქმედების შენარჩუნება-პოპულარიზაციისთვის მადლობის სიგელები გადასცეს.

ასოციაციამ „ნანტი-თბილისი“ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა

26 მაისს, საფრანგეთში მოქმედმა ასოციაციამ „ნანტი-თბილისი“ (ხელმძღვანელები: მედერიკ მორო და ლალი მაისურაძე) საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა.
ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ქართული სტენდი, სადაც წარმოდგენილი იყო ნახატები და ხელნაკეთი ნივთები.

ნიცაში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა

26 მაისს, საფრანგეთში ქ. ნიცას წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის ქართულ საკვირაო სკოლასთან (ხელმძღვანელი მაია ფოფხაძე) არსებულმა სიმღერის მოყვარულთა გუნდმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე იზეიმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

დამოუკიდებლობის დღე შვედეთის საკვირაო სკოლა-სტუდიაში „ნერგები“

26 მაისს, ქ. სტოკჰოლმში, ილია ჭავჭავაძის სახელობის შვედეთის ქართულ სათვისტომოსთან არსებულ ქართულ საკვირაო სკოლა-სტუდიაში „ნერგები“ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა. სტუდიის მოსწავლეებმა ისაუბრეს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკაზე და მის მნიშვნელობაზე. „ნერგების“ აღსაზრდელებმა წაიკითხეს აკაკის, ილიას, ვაჟას, გალაკტიონის, მუხრან მაჭავარიანის ლექსები სამშობლოზე და ეროვნულ საკრავებზე (ფანდური, ჩონგური, სალამური) შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერები. ღონისძიებას ესწრებოდნენ შვედეთის ქართული სამრევლოს წევრები, 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილეები, სტუდია „ნერგების“ აღსაზრდელთა მშობლები და სხვა მოწვეული სტუმრები.

ტექნიკური ხარვეზის გამო აპრილის „დიასპორულ საინფორმაციო ბიულეტენში“ გამოტოვებული ღონისძიებები შეექმნება მიმდინარე ნომერში

ანსამბლ „სიხარულის“ დაარსების 25 წლის საიუბილეო კონცერტი სანქტ-პეტერბურგში

5 აპრილს, ქ. სანქტ-პეტერბურგის კულტურის სახლში „ტროიცკი“, ჯანო ლიპარტელიანის სახელობის ხალხური თვითშემოქმედებითი ანსამბლის „სიხარული“ (ხელმძღვანელი სოფიკო ლიპარტელიანი) დაარსების 25 წლის საიუბილეო კონცერტი ჩატარდა. სოფიკო ლიპარტელიანისა და ქრისტინა ბულიას ხელმძღვანელობით ანსამბლის „სიხარული“ სხვადასხვა თაობის მოცეკვავეებმა შეასრულეს ქართული ცეკვები.
კონცერტში მონაწილეობდნენ: ანსაბლი „რიტმი ვეკა“ ცეკვა „აჭარულით“; დაღესტნის ხალხური ანსამბლი „იმამატი“ ცეკვა „მთიულურით“; ანსამბლი „დიქსი ცეკვა „დიქსურით“; ანსამბლი „რასინკა“, ასევე ქართველი მომღერლები სოფია კვარაცხელია და მანანა შელია.

სანქტ-პეტერბურგის ქართულმა საკვირაო სკოლამ დედაენის დღე აღნიშნა

14 აპრილს, ქ. სანქტ-პეტერბურგის შოსტაკოვის ღვთისმშობლის სახელობის ქართულ ეკლესიასთან არსებულ ქართულ საკვირაო სკოლაში (ხელმძღვანელი ეთერ (ბაია) ხორავა) დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. სკოლის აღსაზრდელების მონაწილეობით მომზადდა ინფორმაციული ვიდეორგოლი სახელწოდებით „გილოცავთ დედაენის დღეს“.

ქართული საკვირაო სკოლა დაარსდა 2024 წლის იანვარში, შოსტაკოვის ღვთისმშობლის სახელობის ქართული ეკლესიის წინამძღვრის, მამა კონსტანტინეს (გიორგაძე) ინიციატივითა და ლოცვა-კურთხევით.

ატლანტაში ქართული კულტურის ფესტივალი -„საქართველოს სული“ ჩატარდა

6 აპრილს, აშშ-ის შტატ ჯორჯიის ქალაქ ატლანტაში „ევროპული გამოცდილების ქართული ცენტრის“ (პრეზიდენტი ნინა კიკნაძე) ორგანიზებით, რიგით მე-3 ყოველწლიური ქართული კულტურის ფესტივალი -„საქართველოს სული“ ჩატარდა. ფესტივალის მიზანი ატლანტა-თბილისს შორის 1987 წელს დამყარებული კულტურული ურთიერთობის გაგრძელება გახლდათ. ღონისძიების ოფიციალურ ნაწილზე მოხსენებით გამოვიდნენ „შუგარ ჰილის“ მერი ბრენდონ ჰემბრი, გენერალი რობერტ მაგნუსი, გვინეტის კონგრესის წარმომადგენელი მეტ რივზი, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარის მოადგილე დენის რაუმბახი და სხვა საპატიო სტუმრები.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქართველი მომღერალი ალექსანდრე ზაზარაშვილი (უკრაინული Voice-ის გამარჯვებული), ოპერის მომღერალი ბექა გოგინაშვილი, მომღერალი და წამყვანი გიორგი შალვაშვილი, ანსამბლი „იბერია“ (ხელმძღვანელი ეკა ჩიჩუა), ანსამბლი „The Sound of Music“ (ხელმძღვანელი თეონა ჩარგეიშვილი), ანსამბლი „Dancing Crane“ (ხელმძღვანელი ლიკა სირელსონი) და ანსამბლი „ფესვები“ (ხელმძღვანელები გიორგი გოდერძიშვილი, შორენა ბარბაქაძე და ვანო გოდერძიშვილი). დიზაინერ ლელა ნინუას ხელმძღვანელობით, ჯორჯიის შტატის პოდიუმზე პირველად შედგა მოდების ჩვენება ქართველი დიზაინერების მონაწილეობით. ქართველმა ხელოვანებმა ეკატერინა ტუჩაშვილმა, ნატალია არველაძემ და ზაზა კობულაშვილმა თავიანთი ნამუშევრები წარმოადგინეს. დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ქართული ტრადიციული კერძები და ღვინო.

შეხვედრა თურქეთის ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან

23 აპრილს, ქ. ტრაპიზონში საქართველოს გენერალური კონსული ნიკოლოზ იაშვილი საკონსულოს წარმომადგენლებთან ერთად ქ. უნიეში ეროვნული სუვერენიტეტისა და ბავშვთა დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას დაესწრო. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ბავშვთა ფოლკლორულმა ანსამბლმა საქართველოდან. უნიეში ვიზიტის ფარგლებში ქართულმა დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ საქართველოს პარლამენტის წევრები: ანზორ ბოლქვაძე, რესან კონცელიძე და ზაალ მიქელაძე, შეხვედრები გამართეს ქალაქის ახლადარჩეულ მერთან, ჰუსეინ თავლისთან, უნიეს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ქართული წარმოშობის თურქ ბიზნესმენებთან და ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ჩიტაძის ქ. 4, თბილისი
0118, საქართველო

ტელ.: +995 32 294 50 00

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia

/mfageorgia

/MFAGEO